შპს გარდი
#406171128
მისამართი: ახვლედიანის #8, თბილისი,
საქართველო

ინფომარცია კომპანიის შესახებ

გარდი არის მზარდი და მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ქართული კოპმანია რომელიც ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს 2016 წლის ბოლოდან. კომპანია 100% ქართული კაპიტალითაა დაარსებული და წარმოადგენს ლითონის ფაბრიკაციის ერთ ერთ წამყვან კომპანიას. კომპანიის შექმნის იდეა წარმოიშვა მას შემდეგ რაც გავაცნობიერეთ, რომ ქართულ ბაზარზე წამოებული პროდუქციის უმრავლესობა არა ქარხნული მეთოდით და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება რამაც განაპირობა არსებული ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის იმპორტირებული პროდუქციით ჩანაცვლება. კომპანიის მიზანს პირველივე დღიდან წარმოადგენდა ხარისხიანი ქართული პროდუქციის შექმნა რომელიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევდა იმპორტირებულ ანალოგებს და ნაწილობრივ ჩაანაცვლებდა მათ ქართულ ბაზარზე. დაარსების დღიდან კომპანიამ საკმაოდ მნიშვნელოვან ზრდას მიაღწია და მოახერხა ქართულ ბაზარზე თავის დამკვიდრება.

გარდის მიერ შექმნილი პროდუქცია ღირსეულ კონკურენციას უწევს იმპორტირებულ ლითონის პროდუქციას, როგორც ფასით, ისე ხარისხით. ჩვენი გუნდი ამაყობს იმით რომ ქმნის ქართულ პროდუქციას და შეაქვს თავისი წვლილი არა მხოლოდ კომპანიის განვითარებაში არამედ ეროვნული წარმოების პოპულარიზაციაში.

ლევან კიკაჩეიშვილი, წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს და იკავებს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას. ლევანს მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი თავისუფალი უნივერსიტეტიდან, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ლევანს აქვს 7 წლიანი სამუშაო გამოცდილება, საქართველოში მოღვაწე წამყვან კომპანიებში.

მათე ნაჭყებია წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ დამფუძნებელს და იკავებს საოპერაციო დირექტორის პოზიციას. მათეს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საოპერაციო მენეჯმენტის მიმართულებით თავისუფალი უნივერსიტეტიდან.

გიორგი ქუმსიაშვილი: წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ მეწილეს და იკავებს ფინანსური მიმართულრბის ხელმძღვანელის პოზიციას. გიორგის მინიჭებული აქვს ბაკალავრის ხარისხი თავისუფალი უნივერსიტეტიდან, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. გიორგის აქვს 10 წლიანი გამოცდილება სხვადასხვა ქართულ კომპანიაში წამყვან პოზიციებზე.